ხაშურის მოამბე

№2 (473) 28 იანვარი, სამშაბათი, 2025 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

21 იანვარს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

საკრებულომ დაამტკიცა დადგენილების პროექტი „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები 6 თებერვლიდან დაიწყება

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახლების საერთო კრებები და კონსულტაციები 6 თებერვლიდან დაიწყება და მუნიციპალიტეტის 77 სოფელში, ყოველდღიურ რეჟიმში, 21 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება. ხაშურის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად 904 000 ლარი გამოეყო.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" განხორციელდება ის პროექტები, რომლებსაც კრებებსა თუ კონსულტაციებზე ადგილობრივები სოფლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, თავად შეარჩევენ.

დაინტერესებულ მოქალაქეებს საპროექტო წინადადებების წარდგენა შეუძლიათ მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურში, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლობებში ყოველ სამუშაო დღეს 9:00-დან 18:00 საათამდე 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

იაპონელი სპეციალისტები ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში იმუშავებენ

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სკოლამდელი განათლების მიმართულებით, იწყება ქართულ-იაპონური მოხალისეობრივი პროექტი, რომელიც გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას გულისხმობს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში ორი იაპონელი მოხალისე იმუშავებს.

ერთი მათგანი ოკუპაციური თერაპევტია, რომელიც რეაბილიტაცია-აბილიტაციის ცენტრში 2 წლის განმავლობაში დაეხმარება სსსმ აღსაზრდელებს და მათ მშობლებს.

მეორე მოხალისე კი, საბავშვო ბაღის აღმზრდელია, რომელიც ქართველ აღმზრდელებთან ერთად იმუშავებს ჩვენი მუნიციპალიტეტის ბაღებში.

ახალგაზრდების მონაწილეობით ბრიტანული სტილის დებატები გაიმართა

18 იანვარს, გაიმართა ბრიტანული სტილის დებატები, სადაც მონაწილეობდა 4 ორკაციანი ჯგუფი, მსაჯებმა გამოავლინეს 2 საუკეთესო გუნდი: გამხსნელი ოპოზიცია და დამასრულებელი ოპოზიცია. გამარჯვებული გუნდები ფინალურ ეტაპზე იდებატებენ!!

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ნინო ლიპარტელიანი და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ზვიად გოგუაძე.

პროექტი ხორციელდება მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოების ასოციაციის მიერ, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2024 წლის იანვარ-ოქტომბრის გაწეული მუშაობის ანგარიში

კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გამართული აქტივობები:

შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ტკბილეული და საჩუქრები გადაეცათ მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარებს, შშმ პირთა ბავშვთა მოვლის ცენტრებს და საზღვრისპირა ზონაში მცხოვრებ დაწყებითი კლასის და ალტერნატიული საბავშო ბაღის აღსაზრდელებს.

ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით, მერიის წარმომადგენლებმა საშობაო ალილოსთვის მოამზადეს ტკბილეულის პაკეტები.

14 იანვარს, საქართველოში სახელმწიფო დროშის დღე აღინიშნება. განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ამ დღესთან დაკავშირებით, ხაშურში სახელმწიფო დროშები გამოიფინა.

25 თებერვალს, სურამში, ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას დაბადებიდან 154-ე წლისთავი აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით, გვირგვინით შეიმკო მისი მემორიალი.

28თებერვალს,ფოლკლორულიანსამბლი„ქართლი“დაკმაყოფილდატრანსპორტირებით, თბილისში, ფესტივალ „დედაშვილობაზე“ დასასწრებად.

4 მარტს, სოფ. ოსიაურთან, ქართველი გმირებისა და იუნკერების ხსოვნის პატივისცემის ნიშნად, გვირგვინით შეიმკო მემორიალი.

3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, „მომავლის სახლისა“ და „დღის მოვლის ცენტრის“ აღსაზრდელებთან მომუშავე პერსონალს, საჩუქრად გადაეცათ ყვავილები და ტკბილეული.

8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ქალთა პერსონალს გადაეცა თაიგულები და ტკბილეული.

18-24 მარტის ფრანკოფონიის კვირეულს საქართველოში პირველად შეუერთდა ხაშური. ამასთან დაკავშირებით, ხაშურის ახალგაზრდულ სივრცეში, ფრანგული ენისა და ფრანკოფონიის (ფრანგულად მოლაპარაკე) დღესასწაულის აღსანიშნავად გაიმართა ღია კარის დღე. შეხვედრა მიეძღვნა საფრანგეთს დაფრანგულ კულტურას. ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი და საფრანგეთის ელჩის მრჩეველი და ატაშე.

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საჩუქრები და სადღესასწაულო ტორტი გადაეცათ „მომავლის სახლის“ ბენეფიციარებს.

27-28 მარტს, სამხარეო ადმინისტრაციის, მაჟორიტარი დეპუტატის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, თბილისის სამებისა და ხაშურის საკათედრო ტაძრებში სამძიმრითა და გვირგვინებით პატივი მიაგეს აფხაზეთიდან გადმოსვენებულ, საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ, ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრ ალექსი ქორთიაშვილისა და ბესიკ ობოლაძის ნეშტებს.

მარტის თვეში, ტრანსპორტით იქნა უზრუნველყოფილი ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების სახლის ვოკალური ანსამბლი ,,თოლია'' ფესტივალში მონაწილეობისთვის, სამუსიკო სკოლების სიმებიან საკრავთა განყოფილების მოსწავლეები იმყოფებოდნენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში. ასევე, სამუსიკო სკოლის გაერთიანებული გუნდი დაკმაყოფილდა ტრანსპორტირებით ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკურ კონკურსს ,,იპოვე შენი ვარსკვლავის'' შესარჩევ ტურზე და შემდეგ, მაისის თვეში, გალა კონცერტზე გასამგზავრებლად.

29 მარტი - 5 აპრილი, სურამის კულტურის სახლში გაიმართა, შემოქმედ ბავშვთა ფესტივალი „იავნანა“.

2 აპრილს, ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ მუზეუმს ეწვია იაპონელი ენათმეცნიერი, მთარგმნელი და ქართველოლოგი იასუჰირო კოჯიმა და მუსიკოსი, ჟურნალისტი და კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი ნაზი სარჯველაძე. მოეწყო ღონისძიება "ვაჟა-ფშაველა და იაპონია". ღონისძიების ორგანიზატორები: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2 აპრილს, მსოფლიოში აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კამპანიას ხაშურის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა და ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის, - „საზოგადოება ბილიკის“ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის მუსიკალური სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა.

9 აპრილს, გვირგვინითა და 9 აპრილის სიმბოლო - წითელი ტიტებით შეიმკო დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალი.

10 აპრილს, ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა ვატო ჟორდანიას კლასიკური მუსიკის საღამო.

14 აპრილს, აღინიშნა დედაენის დღე მერიას დაქვემდებარებულ კულტურის სფეროს დაწესებულებებში.

17 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და ხაშურის თოჯინების თეატრის ინიციატივით, კეთილდღეობის და განვითარების ცენტრის „მომავლის სახლის“, მოზარდთა განვითარების ცენტრისა და მე-2 საჯარო სკოლასთან არსებული დღის მოვლის ცენტრის აღსაზრდელებს უმასპინძლა ხაშურის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრმა.

23 აპრილს, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდულ საგუნდო კოლექტივების VIII ეროვნულ კონკურსზე დასასწრებად, ანსამბლი „ქართლი“ უზრუნველყოფილი იქნა ტრანსპორტირებითა და მონაწილეობის საფასურით.

ასევე, 23 აპრილს, ქორეოგრაფიული ანსამბლი „კავკასიონი“ გაემგზავრა მცხეთაში.

26 აპრილს, ,,ყიფიანობის“ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით, მოხდა სპეციალურად მოწვეული სტუმრების ფურშეტით გამასპინძლება. აგრეთვე, მოხდა მონაწილეების ხაშურიდან ქვიშხეთი და პირიქით, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, გვირგვინით შეიმკო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი.

11-13 მაისს, ქალაქ ბათუმში, ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-15 ფესტივალზე „Expo Batumi Travel 2024“, ჩვენი მუნიციპალიტეტი ღირსეულად წარმოადგინა განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურმა და გამოფენაში აქტიური მონაწილეობისათვის სერთიფიკატიც დაიმსახურა.

17-23 მაისს, სურამის კულტურის ცენტრში გაიმართა, მე-12 ტრადიციული, კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი.

18 მაისს, მიხეილ მურვანიშვილის დაბადების დღეს, ქართველი მეტყევისა და მეცნიერის ბიუსტი გვირგვინით შეამკეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ასევე, მაისის თვეში, ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ლიტვისა და ლატვიის ხაშურთან დამმობილებული ქალაქების დღესასწაულებზე. დელეგაციისთვის, მასპინძელ მხარეზე გადასაცემად, შეძენილ იქნა ქართული წარმოების სუვენირები. აგრეთვე, ლატვიაში, ქ. ბაუსკას დღესასწაულზე, სპეციალური მიწვევით იმყოფებოდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფრესკა“. კულტურის სფეროში განსახორციელებელი პროგრამის ფარგლებში მოხდა ანსამბლის წევრებისა და პედაგოგის ავიაბლეთებით დაფინანსება.

საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი. გვირგვინებით შეამკო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი, საქართველო- სომხეთის 1918-1919 წლების ომში ხაშურის მუნიციპალიტეტიდან გარდაცვლილ მებრძოლთა სამმო სასაფლაო და სოფელ აძვისში, პატრიოტი მოქალაქის, დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძის საფლავი. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მოეწყო ეროვნული სამოსით კოსტუმირებული მსვლელობა. მოეწყო ადგილობრივი შემოქმედების ნამუშევრების, მეწარმეების ნაწარმის და ყვავილების გამოფენება-გაყიდვები. პატარების გართობაზე იზრუნეს ანიმატორებმა. დღის ბოლოს გაიმართა საზეიმო კონცერტი ადგილობრივი და მოწვეული მომღერლების მონაწილეობით. სადღესასწაულო განწყობა ფეიერვერკმა დაასრულა.

31 მაისს, ახალციხეში, ფესტივალ "რაბათის გაზაფხულზე" მონაწილეობის მისაღებად, ტრანსპორტირებით დაკმაყოფილდა ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი "კავკასიონი".

31 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ გორში, შიდა ქართლის ტურისტული კავშირის "მეგზურის" ეგიდით გამათულ ტურისტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, ღია ცის ქვეშ, მოწვეულმა ანიმატორებმა იზრუნეს ბავშვების საზეიმო განწყობაზე. ასევე, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, ხაშურში არსებული მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებისა და დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარები, მე-2 საჯარო სკოლასთან არსებული დღის მოვლის ცენტრის ბავშვები იმყოფებოდნენ კინოთეატრში.

4 ივნისს, ქ. ახალციხეში გამართულ ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ბავშვთა ფესტივალ-კონცერტში "ოქროს ვარსკვლავი- ნიჭიერი თაობა" მონაწილეობის მისაღებად, ტრანსპორტირებით იქნა უზრუნველყოფილი ქვიშხეთის კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი "მთაწმინდა" და ხაშურის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი "ლომისა".

7 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ხაშურის თოჯინების თეატრის დარბაზში, ახალგაზრდულმა თეატრალურმა დასმა წარმოადგინა სპექტაკლი,,სამყაროს დაანახებს, ცუდს ნურაფერს ანახებთ!" ინსცენირების ავტორი მაკო მაჭარაშვილი, რეჟისორი გია ცხვედაძე.

10 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, გაიმართა მუნიციპალურ ანსამბლ „ფრესკას“ კონცერტი, სადაც ასევე მონაწილეობდნენ მუსიკოსი მიშა წითელაშვილი, მსახიობი ზვიად დოლიძე და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სოლისტი ლევან ტაბატაძე.

14 ივნისს, შშმ პირთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის დაფინანსებით „მომავლის სახლის“ აღსაზრდელები იმყოფებოდნენ კინოთეატში 3D ფილმის საყურებლად.

15 ივნისს, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის თანადგომით ხაშურის მუნიციპალიტეტის სასაზღვრო სოფელ წაღვლის ალტერნატიული ბაღის აღსაზრდელები იმყოფებოდა ბორჯომის პარკში.

18-25 ივნისს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში, ბავშვთა და მოზარდთა მე-11 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „ოქროს ოცნება“ მონაწილეობისათვის, დაფინანსდა ხაშურის სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების პედაგოგი და მოსწავლე.

ივნისის თვეში, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში მოეწყო ბონდო ჩადუნელის ხელნაკეთი ნივთების-საბრძოლო იარაღების გამოფენა.

ივნისში, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით, ჩატარდა „ყვავილების ფესტივალი“, მუნიციპალიტეტის მოსწავლეებისათვის.

ტურისტულმა საინფორმაციო ცენტრმა, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით, დაიწყო პროექტი „ინფო ტური ქ. ხაშურში“, სადაც ჩართულები არიან ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

5 ივლისს, საბავშვო თეატრი „აკვარიუმი“ უზრუნველყოფილი იქნა ტრანსპორტით ქ. ქობულეთში ფესტივალში მონაწილეობასთან დაკავშირებით,

8 ივლისს, „ხაშურქალაქობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტისს მერიისა და საკრებულოს თანამშრომლობით გამოცხადდა ხატვის კონკურსი „ხაშური საქართველოს გულია", რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესშია.

11 ივლისს, ხაშურის თოჯინების თეატრის პრემიერას "ნაცარქექიას ახალი თავგადასავალი" დაესწრნენ ბავშვთა დღის ცენტრ "მომავლის სახლის" ბენეფიციარები და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები პატარები.

განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით, „თოჯინების თეატრმა“ მონაწილეობა მიიღო ქ. ქობულეთში გამართულ ფესტივალში „ნარინჯისფერი ქობულეთი“.

8 აგვისტოს, გვირგვინებით შეიმკო რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა საფლავები.

12 აგვისტოს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა მრავალფეროვანი აქტივობები და საზეიმო კონცერტი ქალაქის ცენტრში, ღია ცის ქვეშ.

16 სექტემბერს, ზემო სერის ტყე-პარკის ახალმა ღია ამფითეატრმა სიმღერისა და ლექსის საღამოს უმასპინძლა.

23 სექტემბერს, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, ყველასათვის საყვარელი ანსამბლის, „ფორტეს“ კონცერტი გაიმართა.

27 სექტემბერს ყვავილების გვირგვინით შეიმკო ტაბიძის ქუჩასთან მდებარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპული მებრძოლების ხსოვნის ხეივანი.

27 სექტემბერს, მსოფლიო ტურიზმის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს შეუერთდა ხაშურის მუნიციპალიტეტი და ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში, მოეწყო ადგილობრივი მეწარმე შემოქმედ ხელოვან ქალთა ხელნაკეთი ნივთების/ პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა.

29 სექტემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტმა „ხაშურქალაქობის“ დღესასწაული იზეიმა. დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა მსვლელობა- პერფორმანსი, ხელნაკეთი ნივთებისა და ფერწერული ნამუშევრების გამოფენა- გაყიდვა, ანიმატორების შოუ პატარებისთვის, კონცერტი ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით. დაჯილდოვდნენ ხაშურის საპატიო მოქალაქეები, წარმატებული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები, 2024 წელს 100%-იანი გრანტით ჩარიცხული სტუდენტები. აგრეთვე, გაიმართა ცეკვისა და სიმღერის აკადემიური ანსამბლის, „აფხაზეთის“ და „ღამის შოუს ბენდის“კონცერტი.

5 ოქტომბრის მასწავლებლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, მუნიციპალიტეტის წარმატებული პედაგოგები დაჯილდოვდნენ.

5 ოქტომბერს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმში ,,თბილისობის“ დღესასწაულის საზეიმო ღონისძიებებს, ტრადიციულად, ხაშურის მუნიციპალიტეტის შეუერთდა.

18 ოქტომბერს, განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, ხაშურის მუსიკალური სკოლის საკონცერტო დარბაზში, ანუკი ცქვიტინიძისა და გელა დონაძის კონცერტი გაიმართა. საღამოს უძღვებოდა მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილი.

21 ოქტომბერს ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა, რომელშიც ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები, აღზრდილები და სტამბულის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ლიცეუმის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

20-24 ნოემბერს ქ. ბათუმში, კლასიკური მუსიკის მე-18 საფესტივალო პროექტში "ფესტივალიდან ფესტივალამდე", განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის დაფინანსებით, მონაწილეობა მიიღეს ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა.

25 ნოემბერს, ხაშურის „ივერიის“ ცენტრალურ სტადიონზე გამართული ღონისძიებები, საფეხბურთო გუნდ „ივერიის“ წარმატებას მიეძღვნა. ღონისძიებების ფარგლებში კონცერტი გაიმართა Sf-x ზაზა ნოზაძის მონაწილეობით.

4 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, "მომავლის სახლისა" და დღის მოვლის ცენტრის ბენეფიციარებს ესტუმრნენ და პატარებს საჩუქრები გადასცეს.

დეკემბერის თვეში, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურმა დააფინანსა ცნობილი ქართველი მეტყევის, საქართველოს ბუნების ამაგდარის, საზოგადო მოღვაწის მიხეილ მურვანიშვილისადმი მიძღვნილი წიგნი.

25 დეკემბერს, ხაშურში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დაგეგმილი საახალწლო ღონისძიება ჩატარდა. ქალაქის ცენტრში განთავსდა საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. ღონისძიების ფარგლებში საშობაო ბაზრობაც მოეწყო, სადაც ადგილობრივი ნაწარმი და ხელნაკეთი ნივთები გამოიფინა. მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სადღესასწაულო აქტივობები. პატარებს უმასპინძლა თოვლის ბაბუამ. საზეიმო ღონისძიებები კონცერტითა და საზეიმო ფიეერვერკით დასრულდა.

საახალწლოდ, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ფასიანი საჩუქრებით დასაჩუქრდნენ წაღვლის ალტერნატიული საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, წაღვლსა და ჩორჩანაში მცხოვრები საჯარო სკოლის დაწყებითი (პირველი-მეექვსე) კლასის მოსწავლეები და ხაშურის მეორე საჯარო სკოლასთან არსებული დღის ცენტრის

ბენეფიციარები. ასევე, საახალწლო ტკბილეული გადაეცათ ხაშურში არსებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებს.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტში მცხოვრები პატარებისათვის, რეგულარულად იმართებოდა თოჯინების თეატრი.

<u>სპორტულ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში:</u>

ქ. ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლასა და სოფლად არსებულ სასპორტო წრეებზე, რეგულარულად იმართება წვრთნები პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ სპორტულ სახეობებში: ქ. ხაშურში: ჭიდაობა ძიუდო, ჭიდაობა სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, რაგბი, ბატუტზე ხტომა, მკლავჭიდი;

დაბა სურამში: ძიუდო, ფეხბურთი, რაგბი;

სოფლებში: სოფ. ვაყაში –ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სოფ. ალში – ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სოფ. გომში – ჭადრაკი, ფეხბურთი, სოფ. ოსიაურში – ქართული ჭიდაობა, სოფ. ცხრამუხაში – ფეხბურთი, სოფ. ბროლოსანში – ჭიდაობა ძიუდო; სოფ. კლდისწყაროში– ძალოსნობა, სოფ. ფლევში – ფეხბურთი, ჭიდაობა, სოფ. ქვიშხეთში – ფეხბურთი.

საწრთვნელო-სააღმზრდელო პროცესში ჩართულია 1 410-მდე ბავშვი/სპორტსმენი.

ხაშურის კომპლექსური სკოლის აღსაზრდელები მუდმივად მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში და აღწევენ კიდეც წარმატებებს.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღმნიშვნელ საზეიმო ღონისძიებაზე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ დააჯილდოვა წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები:

ჩინჩალაძე საბა- საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისათვის ქართულ ჭიდაობაში;

გიორგი გელაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში;

მიშიკო ნოზაძე - საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა სამბოში;

ჩილაშვილი საბა - საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ;

ნოზაძე ლევანი-საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის თავისუფალ ჭიდაობაში;

ჩილაშვილი საბა -18-22 იანვარს ქალაქ ნიცაში (საფრანგეთში) ,,ანრი დეგლანის გრანპრის ტურნირზე I ადგილის დაკავებისათვის ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში;

გიორგი გელაშვილი -2-3 მარტს თურქეთში ევროპის თასზე კადეტებში II საპრიზო ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში

გიორგი გელაშვილი - 6-7 აპრილს ჩეხეთში ევროპის თასზე III ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა ძიუდოში;

ჩილაშვილი საბა-24-29 აპრილს ბულგარეთშიტურნირზე III ადგილის დაკავებისთვის ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში.

გოგალაძე დიანა-26-28 აპრილს საქართველოში ევროპის თასზე III ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

გელაშვილი გიორგი- 27-28 აპრილს საქართველოში ევროპის თასზე III ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

ლევან ნოზაძე- 9-12 მაისს რუმინეთშისაერთაშორისო ტურნირზე III ადგილის დაკავებისთვის თავისუფალ ჭიდაობაში.

ელგუჯა ლომიძე- 9-12 მაისს რუმინეთში საერთაშორისო ტურნირზე III ადგილის დაკავებისთვის თავისუფალ ჭიდაობაში.

ავთანდილ ჩანდიშვილი- 28-30 აპრილს საქართველოს ჩემპიონატზე ჭაბუკებში I ადგილის დაკავებისთვის ძალოსნობაში.

ვეტერანი სპორტსმენი დიმიტრი მულაძე - 6 მარტს საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა JFC-მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ საჟინიანი

ასევე მერიამ დააჯილდოვა წარმატებული მწვრთნელები:

დიმიტრი მულაძე,
მალხაზ ნოზაძე,
კახაბერ ლომიძე,
გიორგი კვინიკაძე,
ავთანდილ ხარაზიშვილი,
ბეგლარ ხარშილაძე,
ბუხუტი ბუხრიკიძე,
ვახტანგ კვინიკაძე.

<u>საანგარიშო პერიოდში 1 იანვრიდან 1 ივნისამდე ჩატარებული ტურნირები</u>

6-7 მარტს ქ. ხაშურში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში 2010-2011 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. ჩემპიონატში 500-მდე მოზარდი იღებდა მონაწილეობას.

11-13 მარტს, ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში გაიმართა საქართველოს პირველობა 23-წლამდელთა შორის, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში.

26 მარტს გაიმართა ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, რამაზ ხარშილაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში..

30-31 მარტს, ხაშურის სასპორტო სკოლაში ჩატარდა, გიორგი მახარაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში.

4 აპრილს გაიმართა დავით დათიაშვილის სახელობის ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

1 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და სასპორტო სკოლის ინიციატივით მოაწყო, საყოველთაო გარბენი, „მარათონი 2024“ .

აპრილის თვეში სპორტულმა კომპლექსმა უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს, თავისუფალ და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობებში. შეჯიბრში სხვადასხვა წონით კატეგორიაში, 17 წლამდე ასაკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

26 მაისს გაიმართა მუნიციპალიტეტის ღია პირველობა - სკოლებს შორის, ჭადრაკში - ასაკობრივ კატეგორიებში.

4-5 ივნისს, გაიმართა თემურ კობერიძის სახელობის ტურნირი ფეხბურთი პატარებში.

6 ივნისს გაიმართა ლუკა მაისურაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში

ასევე, ფეხბურთის სფეროში ხაშურის საფეხბურთო გუნდი „ივერია“ - ბიჭები, მონაწილეობას იღებდა საქართველოს რეგიონული ლიგის ჩემპიონატში.

ხაშურის საფეხბურთო გუნდი „ივერია“ - გოგონები, მონაწილეობას იღებდა ჩემპიონატში „ქალთა ლიგა 2“.

აქტიურად მიმდინარეობს რაგბში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მონაწილეობა.

წელს პირველად ჩამოყალიბდა სურამის ქალთა რაგბის ჯგუფი, რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა დონის საფესტივალო შეჯიბრებებში.

2024 წლის იანვრის ბოლოდან, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ინიციატივით, მოხდა სპორტსმენთა კვების თანხის ზრდა, ასევე გაიზარდა გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოების თანხები.

ხაშურელი ფეხბურთელები აქტიურად არიან ჩართულნი მოყვარულთა ლიგის რეგიონულ ჩემპიონატში. 23 ივნისს გამართულ კროკობეთ მოყვარულთა ლიგის ხაშურის მუნიციპალური ეტაპის ფინალურ შეხვედრაზე გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ოლიმპიური დღის აღსანიშნავად, ქ. გორში, ჩატარდა მარათონული გარბენი, სადაც მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღეს ხაშურელმა ახალგაზრდებმა და სპორტსმენებმა.

მაის-აგვისტოს თვეში გვასახელეს ჩვენმა მოქმედმა და ვეტერან სპორტსმენებმა და მათმა მწვრთნელებმა:

ბ/რ. ჭიდაობა

ჩილაშვილი საბა ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში (სერბეთი ნოვისადი).
ჩილაშვილი საბა საერთაშორისო ტურნირის მე-2 პრიზიორი (ხორვატია პორეცი).
ჩილაშვილი საბა მწვრთნელი ლომიძე კახა

<u>ძალოსნობა</u>
ოდიკაძე გიგა საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში (დუშეთი).
ოდიკაძე გიგას მწვრთნელი ხარაზიშვილი ავთანდილი.

<u>ქართული ჭიდაობა</u>
გაფრინდაშვილი მიშიკო საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში.
გაფრინდაშვილი მიშიკოს მწვრთნელი მულაძე დიმიტრი.

<u>სამბო</u>
მაღლაკელიძე ლუკა საქართველოს ჩემპიონი კადეტებში (თერჯოლა).
მაღლაკელიძე ლუკას მწვრთნელი ლომიძე ომარი.
ჯელაძე ია საქართველოს ჩემპიონი კადეტებში გოგონები (თერჯოლა).
ჯელაძე იას მწვრთნელი მულაძე დიმიტრი.

<u>ძიუდო</u>
მულაძე დიმიტრი ევროპის ჩემპიონი ძიუდოში ვეტერანებში, (ბოსნია ჰერცოგოვინა სარაევო).

28 ივლისს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალში ჩატარდა დამსახურებული მწვრთნელის, მალხაზ ნოზაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

12 აგვისტოს, ხაშურის ცენტრალურ პარკში მდებარე საკალათბურთო გარე მოედანზე, სტარტი აიღო მერაბ ჩიტიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილმა ტურნირმა „ჩიბუხა 20214“ 3x3 კალათბურთში.

12 აგვისტოს გაიმართა ჭადრაკის, ნარდის და მაგიდის ჩოგბურთის ღია პირველობა.

12 აგვისტოს გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში- „დურუს თასი 2024“.

აგვისტოს თვეში მიხეილ საჟინიანს გაეწია ფინანსური მხარდაჭერა ლას-ვეგასში გასამგზავრებლად, UFC-ის საგზურის მოსაპოვებელ ბრძოლის გასამართად.

19 აგვისტოს, სოფელ ქინძათში გაიმართა ვიტალი ნოზაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

აგვისტოს ბოლოს, სპორტის სამინისტრომ ხაშურის, ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების სპორტულ დაწესებულებებსა და კლუბებს ინვენტარი და ეკიპირება გადასცა.

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინიციატივითა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ,,შიდა ქართლის სპორტული თამაშები 2024“ ჩატარდა.

29 სექტემბერს, „ხაშურქალაქობის“ დღესასწაულის ფარგლებში, პეინთბოლისა და ფეხბურთში, თემურ კობერიძის სახელობის ქალთა რესპუბლიკური ტურნირები გაიმართა. ასევე, ჩატარდა ჭადრაკის, ნარდის და მაგიდის ჩოგბურთის ტურნირები.

<u>ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში</u>

17 თებერვლიდან 13 აპრილის ჩათვლით, შიდა ქართლის რეგიონის ქალაქებში, ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონული ტურები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. აღნიშნულ აქტივობებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ და განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურმა ოლიმპიადის მონაწილეებს შეუძინა სათამაშო ფორმები და დაუფინანსდათ მგზავრობის ხარჯები შიდა ქართლის ქალაქებში. აღნიშნულ ტურნირზე აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონი გახდა მე-9 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან, ყოველკვირეულად მიმდინარეობდა ინტელექტუალური თამაში „ბიგ-რაუნდი“, რომლის ფინალური შეხვედრა, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ, 8-9 ივნისს გაიმართა ქ. ბათუმში. მოხდა ფინალისტების ტრანსპორტირებითა და სასტუმროს მომსახურებით უზრუნველყოფა, გამარჯვებული გინდები დაჯილდოვდნენს სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრებით.

1 აპრილს - ხაშურში, მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-„ხაშურის ახალგაზრდული საბჭო“ პირველად შეიკრიბა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ერთად გაუსვეს ხაზი, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ჩართულობის მნიშვნელობას.

ზაფხულის პერიოდში „ხაშურის ახალგაზრდული საბჭოს“ შეხვედრები რეგულარულად იმართებიდა.

22 აპრილის, ,,დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით, სურამში, ახალგაზრდების ინიციატივით განხორციელდა დასუფთავების აქცია. მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ მოხდა მათი ტრანსპორტირებით, დასუფთავებისათვის საჭირო ინვენტარით, გაზიანი სასმელებითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

ახალგაზრდული პროექტების ფარგლებში, 28 მარტს განხორციელდა ხაშურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება ქალაქ გორში საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში.

16 მაისს ორგანიზება გაუკეთდა ხაშურის საფეხბურთო გუნდ ,,ივერიის“ გულშემატკივართა მგზავრობას ქ.თბილისში.

22 მაისისდან - 3 ივნისის ჩათვლით მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში, აღმოსავლეთ საქართველოს დასკვნით ეტაპზე მონაწილეობა მიიღეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის რეგიონულ ტურნირში გამარჯვებულმა საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

18 ივნისს, შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ სპორტულ აქტივობებში მხარდაჭერა და დახმარება გაეწიათ ხაშურის მუნიციპალიტეტის დღის მოვლის „მომავლის სახლის“ ბენეფიციარებს.

18 – 22 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით , ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დიდ ეკრანზე განხორციელდა ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მატჩების ჩვენება

21 ივნისს „მოიარე საქართველო - ვიწყებთ ჩვენი რეგიონით“ პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ ტრანსპორტით დახმარება გაეწია ხცისის საჯარო სკოლის ბავშვებს.

კასპის ტექნოპარკის ორგანიზებით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დაფინანსებით და ხაშურის მუნიციპალიტეტების მერიის თანადაფინანსებით შიდა ქაართლის რეგიონის ინოვაციების ბანაკი TECHSKILLS BOOTCAMP 2024 ჩატარდა.

ზაფხულის პერიოდში, ყოველკვირეულად, ახალგაზრდებისთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, საკრებულოს თავმჯდომარის და განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ინიციატივით იმართებოდა შეხვედრები, ლექციები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან.

14 ნოემბერს, ადმინისტრაციულ შენობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-„ხაშურის ახალგაზრდული საბჭოს“ მორიგი შეხვედრა გაიმართა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა და ახალგაზრდებმა ერთობლივად იმსჯელეს სამომავლოდ, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებაზე.

18 ნოემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულმა სივრცემ, ლიეტუველ და ხაშურის საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა.

კონსტანტინე ფრუიძე,
მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და
სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1).

გირვანქას ახო - ადგ., სახნავი. ,,გიორი რევაზიშვილი იყო, გასაჯავრებელ სახელს გირვანქას ეტყოდნენ”.

დიდსათივე - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,საქონელი აგვყავდა. დიდი ადგილი იყო. ახლა ფიჭვები დათესეს”.

ელია - ადგ., სალოცავი სოფლის ცენტრში.

ელიაშვილების უბანი - ადგ; უბანი. იგივეა რაც ახალშენი.

ელისაშვილის ახო - ადგ., სახნავი. ,,შაქრო ელისაშვილს სახნავ-სათესად ახო გაუკეთებია”(კ. ხარატიშვილი).

ელისაშვილების უბანი - ადგ; უბანი.

ზუმბაძეების წყალი//წყარო - ადგ. წყარო. ,,ზუმბაძეებით დასახლებულ ტერიტორიაზე ამომავალი წყაროა“(კ. ხარატიშვილი).

კაპანაძეების ახო - ადგ., სახნავი.

კლდიანი - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ძალიან ქვიანი ადგილია. ეკლესიის ქვა იქ არის მოტეხილი”.

კოროხი - ადგ., ტყე, მუხნარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,მუხებია და აქედან არის წარმოშობილი მისი სახელი”.

კოტილაური - ადგ., ტყე, მინდორი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ადგილ-ადგილ ტყეა, ადგილ-ადგილ მრგვალი მინდორი. მაღალი ადგილია და ამტომ ვეძახით კოტილაურს”.

ნაფუზრები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს რკინიგზის ლიანდაგის პირას. ,,ორთოიძეებს ეკუთვნოდათ. მამასახლისეები იყვნენ. Aმათ ჰქონდათ ეს მიწები. გადანაფუზრებით ჰქონდათ და კარგი ჭირნახული მოდიოდა. ახლა სახნავიც არის და სამოსახლოც”.

ნაქერალი - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ქერი ითეებოდა. ნაქერალში გავრეკეთ საქონელიო, ვიტყოდით მწყემსები”.

ნახვეტარა - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.

ნოვეს ახო - ადგ., სათესი ჩრდილოეთის მხარეს.

პატარა სათივე - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს.

პონტიკის წყარო - ადგ., წყარო ჩრდილოეთის მხარეს. ,,კოტილაურის მხარეს არის, კარგი ცივი წყალია. კლდეში გამოდის”.

რევაზიშვილის ახო - ადგ., სახნავი. ,,გიორგი რევაზიშვილს გაუკეთებია”(კ. ხარატიშვილი).

რევაზიშვილების უბანი - ადგ; უბანი.

რომაშვილების ახო - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.

საჯვარე - ადგილი სამხრეთის მხარეს.

საჯვარეები - ადგილი. ,,გზების შესაყარია”.

ტბიანები - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,პატარა ტბები იყო, ახლაც არის ხანდახან”. ,,საძოვარზე პატარა ტბები იყო. წვიმიან დროს ახლაც ჩნდება ხადახან“(კ. ხარატიშვილი).

ფონის სერი - ადგ., სერი ჩრდილოეთის მხარეს.

ფშანი - ადგ., სახნავი, საბოსტნე სამხრეთის მხარეს. ,,იქ იყო ბალოტიანი, წყლიანი ადგილი”.

ღონღაძეების უბანი - ადგილი; უბანი.

შაქროს ახო - ადგ., სახნავი. ,,სეფაშვილი იყო”.

შოშიაშვილის ახო - ადგ., სახნავი. “გიორგი ერქვა”.

ცივწყარო - ადგ., წყარო, საძოვარი, მინდორი ჩრდილოეთის მხარეს.

ციხელაშვილების უბანი - ადგილი; უბანი.

წიწვები - ადგ., ფიჭვნარი ტყე, დასავლეთის მხარეს. ,,სავანლები ცხოვრობდნენ. მათი გაშენებულია ფიჭვები, ამიტომ ვეძახით წიწვებს”.

წორუას ახო - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,წორუა გასაჯავრებელი სახელია, ბადრიაშვილი იყო”.

ხორეები- ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,შქერიანი ადგლია, დიდსათივის მიდგმაა”

სოფელი სათივე

ახოს გზა- ადგ., გზა.

გელაშვილების უბანი- ადგ; უბანი.

გლუნჩაძეების უბანი - ადგ; უბანი

გორას მიწა- ადგ., სათესი. ვაშლიახო - ადგ; ტყე სამხრეთით. ,,ადრე ვაშლი იყო გაშენებული“(შ. გლუნჩაძე).

დალაქის მორევი - ადგ; მორევი მდ. მტკვარზე დასავლეთით. ,,დალაქი იყო, აქ ბადურობდა-ხოლმე. ყველაზე ღრმაა, კლდის ქვეშ შედის“(შ. გლუნჩაძე).

ევას კაკალი - ადგ; მინდორი აღმოსავლეთით. ,,აქ კაკალი დგას. ბაღი გვქონდა. ევას რძლის - ჟულიას სახელსაც ვეძახით“(შ. გლუნჩაძე).

თუთის მიწა- ადგ., სათესი.

კაკლის მიწა- ადგ., სათესი.

მინდვრიანი - ადგ; მინდორი სამხრეთით. ,,მინდორი იყო, თივას თიბავდნენ- ხოლმე“(შ. გლუნჩაძე).

მინდვრიანის ტყე- ადგ., ტყე სამხრეთით.

ნათლისმცემელი- ადგ., სალოცავი.

ნარუჯები- ადგ; წყარო, ღელე.

ნაძვის ახო- ადგ., სათესი.

რაჟდენის სვანი- ადგ., სვანი.

სააგურე- ადგილი

სანაობეჭი - ადგილი მტკვარზე. ,,აქ ტივებს კრავდნენ და მიჰქონდათ გასაყიდად“(შ. გლუნჩაძე).

სანაოსტყე- ადგ., ტყე

საფუტკრე - ადგ; მინდორი სამხრეთით. ,,პატარა მინდორია. ვაკე ადგილია. აქ ბატონს ბაღები გაუკეთებია. აქ ბატონს სასახლე უნდა აეშენებია. კლდე არის ახლოს, იქიდან ქვებს ეზიდებოდა ბატონი, მაგრამ სახლის მშენებლობა არ დასცალდა. აქ ფუტკარი ჰყავდათ ზაფხულობით. მერე გელაშვილებმა მოხნეს, მაგრამ კარგ მოსავალს ვერ ღებულობდნენ, მარტო ლობიო მოდიოდა“(შ. გლუნჩაძე).

საფუტკრის ტყე- ადგ., ტყე სამხრეთით.

საწყლე მინდორი - ადგ; მინდორი, საძოვარი სამხრეთით. ,,წყალი ამოდიოდა, მწყემსები, რომ ვიყავით, ვსვამდით. დავეყუდებოდით ხოლმე. გემრიელი წყალი იყო. ლურჯი ფერი დაკრავდა. შემდეგ ადგილი მოწყდა და ახლა რვა მარტისკენ (სარმანიშვილის კარი - თ.ლ.) მიდის“(შ. გლუნჩაძე).

სილამიწები- ადგილი

სილონის მიწა- ადგ., სათესი.

ტიტვლიანის სვანი- ადგ., სვანი.

ქანიელა - ადგ; მინდორი სანხრეთით. ,,აქ ძელებს დავასობდით ხოლმე, ლატებს გავდებდით და ვქანაობდით. მის ქვემოთ კიდევ არის ადგილი, რომელსაც ასევე ქანიელას ვეძახით“(შ. გლუნჩაძე).

შინდნარი//შინდრი- ადგ., გზა.

შუა მინდორი - ადგ; სახნავი, სათესი სამხრეთით. ,,ლომიძეები და გოგალაძეები კომბოსტოს რგავდნენ ხოლმე“(შ. გლუნჩაძე).

ჩადუნლების უბანი - ადგ; უბანი

ჩიგვნარი - ადგ; მინდორი აღმოსავლეთით. ,,აქ ჩიგვნარი იყო“(შ. გლუნჩაძე).

ჭენჭყვები - ადგ; ტყე სამხრეთით. ,,წყლები გამოდიოდა. ჭაობიანი ადგილი იყო. ფორია აქ იდგა-ხოლმე“(შ. გლუნჩაძე).

წითელი სვანი- ადგ., სვანი სამხრეთით. ,,მიწაა თიხანარევი, წითელი ნიადაგია“(შ. გლუნჩაძე)

წყაროს მიწა- ადგ., სათესი, საძოვარი

სოფელი სარმანიშვილის კარი

ბატონის ღელე- ადგ; ღელე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ბატონს ეკეთვნოდა”.

ბრაგუნას ძირი- ადგ; მინდორი.

ბრმაღელე- ადგ; ღელე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. “ბნელი ღელეა”.

გაღმა საყდრის მინდორი- ადგ., მინდორი, საყდარი, სალოცავი.

ივანკას ქოხი- ადგილი სამხრეთის მხარეს.

კარავი ღელე- ადგ., ღელე, მინდორი სამხრეთის მხარეს. “კარვები ქონდათ”. ლექსიას წყარო- წყარო. “ჩადუნელი ცხოვრობდა, ახალდაბიდან”.

ნავენახარი- ადგ., მინდორი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს.

ნაკალოვარი- ადგ., მინდორი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს.

ნალობიერი- ადგ., სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. “ადრე ლობიოს თესავდნენ”.

ნარუჯები- ადგ., ტყე, მინდორი სამხრეთის მხარეს. “ადრე ბატონყმობის დროს, ცეცხლი წაუკიდეს და გაირუჯა”.

ნასოფლარი - ადგ; ნასიფლარი სამხრეთით, სარმანიშვილის წყლის სათავეებთან. აქ ხოვრობდნენ ჩადუნლები და გელაშვილები.

საბილაო - ადგ., მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. “რომ ადიოდნენ ბიჭები ბილაობდნენ”.

საგორავი - ადგ., მინდორი. “ხეებს აგორებდნენ”.

სარდოს მიწის თავი - ადგ., სახნავი, მინდორი სამხრეთის მხარეს. “სარდო ჩადუნელი იყო, ახალდაბიდან”.

სარმანიშვილის ხევი - ადგ., ხევი. ,,და ამის /ტაშისკრის/ პირდაპირ, სამხრიდამ, ერთვის მტკუარს სარმანშვილის-ხევი, გამოდის ყერძენსა და ამას შუა მთასა” /ვახუშტი, აღწერა... გვ.380/. სარმანიშვილის ხევის სათავეში, ღორინამკლის ძირში, არის ძველი ნასოფლარი/სარმანიშვილის კარი/?/ არის ეკლესიის ნანგრევი. როგორც აღნიშნეს სოფელი 40-იან წლებში გადმოსახლებულა ახალდაბაში, სარმანიშვილის კარში და სხვაგან.

სახტრი მინდორი - ადგ., მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,აქ ეკლესიაა და იმიტომ ვეძახით”.

სილაძეების ადგილი - ადგ., მინდორი სამხრეთ-აღმოსავლეტის მხარეს

ტბის ძირი - ადგ., მინდორი, ტბა სამხრეთის მხარეს. ,,მაღლა ტბა არის”.

ღვთისმშობლის ეკლესია- ადგ., სალოცავი.

ყორის ეკლესია - ადგ., სალოცავი, ტყე სამხრეთის მხარეს. ,,აქ ეკლესია აღარ არის”

შქერანი - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,სარდოს მიწის თავზეა, შქერია ბევრი”

ცივყანა - ადგ., სახნავი, მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,ცივი ადგილია, ყველგან რომ ცხელოდეს, იქ ცივა”.

ჭაობის თავი - ადგ., მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,ჭაობები იყო, ახლაც არის, სულ ჭენჭეხი დგას”.

ყერძენის მთა - ადგ., მთა

სოფელი ტაშისკარი

აბანოს ღელე - ღელე, ჩამოდის სოფელში. ,,საქარნოს გზა ამ ღელიდან გადადის და ადის ზევით”(გ. ხაჩიძე), ,,გოგირგოვანი წყალი ამოდის და აბანო არის”(კ. სუთიაშვილი).

აკვანას სერი - ადგ., სერი, ტყიანი მასივი დასავლეთის მხარეს. ,,აკვანივით არის”, ,,აკვანას სერის ძირში წმინდა გიორგის ეკლესია დგას. სერი, რომ მთავრდება, დასავლეთით, მერეა საჯვარე”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ეს ჩვენი ისტორიაა, ეს ჩვენი წარსულია

ჩვენი გაზეთი, პერიოდულად, აქვეყნებს იმ მასალებს, რომელიც გასულ საუკუნეში ადგილობრივი მედიის ინფორმაციებს წარმოადგენდა. გაზეთის ერთი გვერდი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმ კონკრეტული წლების მთელი სულისკვეთების წარმოდგენა, თუმცა ზოგად წარმოადგენას მაინც შეუქმნის მკითხველს.

მაშ ასე: 1956 წელი, ადგილობრივი გაზეთი წერდა:

მექანიზატორთა ახალი კადრები

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სურამის სასწავლებელმა იანვარში გამოუშვა ფართო პროფილის ტრაქტორისტ - მემანქანეთა ჯგუფი 120 კაცის რაოდენობით. კურსდამთავრებულნი უკვე გაემგზავრენ ჩვენი რესპუბლიკის მტს-ებში სამუშაოდ. ხაშურის რაიონის მტს-ებს სასწავლებელმა მისცა 14 მექანიზატორი.

მექანიზაციის სკოლაში დაიწყო მსმენელთა მიღება ახალი სასწავლო წლისათვის. წელს სასწავლებელი მოამზადებს 180 მექანიზატორს.

ახალი შენობა

დამთავრდა და მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ხაშურის პურკომბინატის ახალი შენობა. კომბინატის საამქროებში მონტაჟდება ახალი მანქანა - ცომსაზელი, დამგუნდავებელი, ცომის საჭრელი, საცერი და სხვა. ეწყობა საამქროთა ძირითადი სამუშაოების მექანიზაცია. უახლოეს ხანში დაიწყება ძველი შენობის რეკონსტრუქცია.

ამ სამუშაოებს 1 124 000მანეთი მოხმარდება.

საკოლმეურნეო ტრანსფორმატორი

ამას წინათ, კაკალათხევში დაიდგა ახალი ტრანსფორმატორი. ელექტროგაყვანილობის მოწესრიგების შემდეგ კოლმეურნეთა ბინები განათდება ილიჩის ნათურებით, ამუშავდება კოლმეურნეობის ელექტროწისქვილი.

წელს კაკალათხევიდან ელექტროხაზი გაყვანილ იქნება სოფელ ქემფერში.

მეელმავლის შრომითი მამაცობა

14 თებერვალს, მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გახსნის დღეს, ხაშურის სადგურის მორიგემ გიორგი მჭედლიძემ, ლიანდაგის მორიგემ ავთანდილ კამკამიძემ, შემდგენელებმა ალექსანდრე ღონღაძემ და სერგო ქურდაძემ, ცვლის ოსტატმა დავით ჩადუნელმა, გამსინჯველებმა ალექსანდრე გელაშვილმა, რაჟდენ ცაცანაშვილმა და შოთა ქურდაძემ, ქვეგანყოფილების მორიგის ლავრენტი წიქარიშვილის დახმარებით შეადგინეს მატარებელი, რომლის წონა 2005 ტონით აღემატებოდა ნორმას. აღნიშნული მატარებელი წაიყვანა მემანქანე სიკო გოგალაძემ, რომელიც თბილისში ერთი საათით და ორი წუთით ადრე ჩავიდა.

დიდდება პროდუქტიულობა

სოფელ ნაცარგორის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში პირუტყვი კარგად იზამთრებს, ძროხები მოთავსებულია თბილ და ნათელ სადგომში, უზრუნველყოფილია კარგი კვებით. გასული წლის შემოდგომიდან ფერმა დაკომპლექტებულ იქნა საქმის მცოდნე კადრებით, მწყემსებისათვის შეძენილია თბილი ტანსაცმელი, საჭირო ინვენტარი.

კოლმეურნეობის გამგეობამ და მისმა თავმჯდომარემ დ. ხაჩიძემ გადაჭრით გაუმჯობესეს მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობა. ახლა თვითეული ძროხა სამჯერ უფრო მეტ რძეს იწველის, ვიდრე შარშან. წარმატებებია მეღორეობის ფერმაშიც. ფერმის მწყემსმა ამბროსი ხარშილაძემ შარშან მიღებული ნამატი მთლიანად შეინარჩუნა და გამოზარდა. მიმდინარე წლის თებერვალში უკვე მიღებულია 92 გოჭი, ყველა შენარჩუნებულია. გამოცდილმა მეღორემ გამომუშავებულ შრომადღეებზე ოთხტონანახევარი მარცვლეული მიიღო.

რ. გელაშვილი

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სურამის სასწავლებელში

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სურამის სასწავლებლის დირექციამ კარგად მოაწყო მოსწავლეთა შორის მასობრივ - პოლიტიკური მუშაობა. სასწავლებლის ბიბლიოთეკა მდიდარია პოლიტიკური, მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურით, ჟურნალ - გაზეთებით. მომავალი მექანიზატორები დიდი ინტერესით კითხულობენ ახალ წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს. სასწავლებელს აქვს კარგად მოწყობილი საკლუბო დარბაზი, მოსწავლეები თავისუფალ დროს დარბაზში კულტურულად ატარებენ, აქტიურ მონაწილეობას იღებენ წრეობრივ მუშაობაში, ისმენენ ლექციებს, მოხსენებებს, მათ ყოველდღიურად უჩვენებენ აგრეთვე კინოფილმებს. გარდა ამისა, ხშირად ეწყობა მოსწავლეთა ექსკურსიები საწარმოებში. ამას წინათ მათ დაათვალიერეს აგარის შაქრის ქარხანა, იყვნენ გორში, ეცნობიან მანქანა - ტრაქტორთა სადგურების მექანიზატორთა პრქტიკულ საქმიანობას.

სასწავლებელში შექმნილია ყველა პირობა სწავლისა და კულტურული დასვენებისათვის.

ა. ხარაბაძე

გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს

ხაშურის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ივალდებულეს წარმატებით შეასრულონ გეგმები, გააძლიერონ მშრომელთა მომარაგება, მეტი სამრეწველო საქონელი და სურსათი მიაწოდონ მოსახლეობას.

ასრულებს რა ნაკისრ ვალდებულებას, რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორამ ვადამდე შეასრულა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტლის გეგმა. მარტო ორ თვეში შესყიდულია 30 591 კვერცხი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22 ათასისა. გარდა ამისა, საზოგადოებრივი კვებისათვის კანტორამ რძის შესყიდვის გეგმა შეასრულა 342 პროცენტით.

ქვიშხეთის კოლმეურნეობამ ამ დღეებში დამზადების კანტორას ჩააბარა 15 ტონა ხახვი საკომისიო ვაჭრობისათვის.

მოწინავე დრამატული კოლექტივი

რკინიგზის ხაშურის კულტურის სასახლესთან არსებულმა დრამატულმა კოლექტივმა უკანასკნელი წლების მანძილზე მაყურებელს ბევრი საინტერესო სპექტაკლი უჩვენა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ო. ვასილევის „ამქვეყნიური სამოთხე“, ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, ა. წერეთლის „პატარა კახი“, ა. ზაიცკის „რობინ გუდი“. დიდი წარმატება ხვდა ი. მოსაშვილის ისტორიულ დრამას „გზა მომავლისა“, რომლის დადგმა განახორციელა სასახლის დირექტორმა შ. ჩერქეზიშვილმა.

თავისი ნაყოფიერი მუშაობით დრამატულმა კოლექტივმა სახელი გაითქვა რაიონის გარეთაც. გასულ წელს მან რესპუბლიკის დედაქალაქში მოაწყო საგასტროლო წარმოდგენები, თბილისელ მაყურებელს უჩვენა პიესა „გზა მომავლისა“. უახლოეს ხანში კულტურის სასახლის დრამატული კოლექტივი კვლავ წარსდგება თბილისელთა წინაშე, შემდეგ კი ნავარაუდევია მისი გაგზავნა მხატვრული კოლექტივების საკავშირო დათვალიერებზე.

ხაშურელ მელიანდაგეთა წარმატება

ხაშურის სალიანდაგო დისტანციის კოლექტივმა 174,მ პროცენტით გაანაღდა პირველი კვარტლის საწარმოო გეგმა. მელიანდაგეებმა რელსების ცვლის დავალება შეასრულეს 275 პროცენტით, ლიანდაგის აწევითი შეკეთების - 116,7, მიწის ვაკისის კაპიტალური შეკეთების - 112,4, ხელოვნურ ნაგებობათა კაპიტალური შეკეთების - 478,1, სალიანდაგო შენობების კაპიტალური შეკეთების - 151,8, ლიანდაგის ზედნაშენი მასალების შეკეთებისა დაზადების 163,1 პროცენტით.

მიღწეულ წარმატებათა გამრავლების ნიშნით განაგრძობს ენერგიულ შრომას დისტანციის კოლექტივი.

ხაშურელ მეაგურეთა წარმატება

ხაშურის აგურ - კრამიტის ქარხნის კოლექტივმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა მიმდინარე წლის პირველი კვარტალი. ქარხანამ 118 პროცენტით შეასრულა ნედლი აგურის დაყალიბების გეგმა, წითელი აგურის გამოშვებისა - 100 პროცენტით. საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება განაღდებულია გადაჭარბებით.

ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 115 – 125 პროცენტით ანაღდებენ თიხის მიმწოდებელი ვლადიმერ ხაჩიძე, ალიზის დამწყობები ჟუჟუნა გელაშვილი, მარიამ თომაძე, აგურის გადმომტვირთავი გიორგი ბირკაძე, ზეინკალი ოთარ მალიძე, კრამიტის დამყალიბებელი ოგანეზოვი და სხვები.

იბრძვიან მაღალი მოსავლისათვის

ხაშურის რაიონის კოლმეურნეები და მექანიზატორები გაცხოველებით მუშაობენ, რომ შემჭიდროებულ ვადებში განახორციელონ ყველა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები და უზრუნველყონ უხვი მოსავლის აღება.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები სოფელ გომის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. არტელმა უკვე დაამთავრა ქერისა და კარტოფილის თესვა, 42 ჰექტარზე დაითესა შაქრის ჭარხალი. ახლა აქ შეუდგნენ სიმინდის თესვას. წელს სიმინდი დაითესება 145 ჰექტარზე. ამ ფართობის ნახევარზე მეტი ითესება კვადრატულ-ბუდობრივი წესით. კოლმეურნეებმა გააჩაღეს შეჯიბრება იმისათვის, რომ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 40 ცენტნერი სიმინდი.

პენსიები კოლმეურნეებს

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ დაადგინა მოხუც კოლმეურნეს ე. მიმინოშვილს დაუნიშნოს ყოველთვიური პენსია 100 მანეთი და 24 კილოგრამი მარცვალი. ყოველთვიურ პენსიას იღებენ აგრეთვე საკოლმეურნეო წარმოების ყოფილი მოწინავენი მ. ნიკოლაიშვილი, ი. ცაბაძე, ზ. ბაქანიძე, მ. ტუღუში და სხვები.

რაიონის კოლმეურნეობათა ურთიერთდამხმარე სალაროები პენსიებს აძლევენ 203 მოხუც კოლმეურნეს.

სურამის კინოთეატრში წესრიგი უნდა დამყარდეს

არადამაკმაყოფილებელ მომსახურებას უწევს სურამელ მშრომელებს ადგილობრივი კინოთეატრის კოლექტივი (დირექტორი მ. ფიჩხაძე). იმის გამო, რომ დრმდე ვერ მოხერხდა მაყურებელთა დარბაზში სკამების დანომრვა, სისტემატურად ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი. დარბაზში მაყურებლების შესვლის დროს აურზაური იქმნება „კარგი ადგილების“ დასაკავებლად. ამასთან, დაკავებული ადგილის დაკარგვის შიშით მაყურებელი იძულებულია აქვე მოსწიოს პაპიროსი.

მოუგვარებელია კინოფილმების რეკლამირების საქმეც. არ კმარა, რომ კინოსურათებიოს მაუწყებელი აფიშები, მხოლოდ კინოთეატრის შენობის ფასადზე იკვრება.

სურამის კინოთეატრის მაყურებელთა დარბაზში სკამების დანომვრისა და კინოსურათების რეკლამირების საქმე უნდა მოგვარდეს.

ა. წულეისკირი

- ხაშურის სპორტის ისტორიიდან -

განუმეორებელი 1949 წელი

დიახ, ჯერჯერობით მართლაც განუმეორებელი, რადგან 1949 წელი ხაშურის რაიონის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე საუკეთესი მიღწევის წელია. იმ წელს ჩვენმა ფეხბურთელებმა, რომლებიც ხაშურის ნაკრების სახელით გამოდიოდნენ, საქართველოს პირველობაზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს და სულ ცოტა სპორტული იღბალიც რომ ჰქონოდათ, ჩემპიონებიც გახდებოდნენ.

იმ წელს, გუნდები ორ ქვეჯგუფში გაერთიანდნენ. ხაშურის ნაკრები საკმაოდ ძლიერ ზონაში მოხვდა. პირველი შეხვედრა ჩვენმა ფეხბურთელებმა 22 მაისს ცხინვალში გამართეს და დიდი ანგარიშით - 5:0 დაამარცხეს ადგილობრივი გუნდი. შემდეგ შეხვედრაში ისინი ოჩამჩირის დინამოს ამარცხებენ — 3:1. მესამე ტურში კი ბორჯომის „სპარტაკს“ — 4:0. ამის შემდეგ ისინი კიდევ სამ შეხვედრას იგებენ ზედიზედ. მაშინდელი პრესა განსაკუთრებით გამოეხმაურა თბილისის „ტრუდთან” მოგებას (5:1), რომელშიც ჩვენმა ფეხბურთელებმა ძალზე ლამაზი თამაში აჩვენეს.

ზონაში გადამწყვეტი მატჩი 26 ივლისს შედგა გორში, სადაც ხაშურის ნაკრებს ადგილობრივმა „პიშჩევიკმა“ უმასპინძლა. ხაშურელებს ფრეც აძლევდათ ხელს და მიაღწიეს მიაღწიეს კიდეც, მატჩი ანგარიშით - 0:0 დამთავრდა.

ზონაში ჩვენმა ფეხბურთელებმა 18 შესაძლებლობიდან 15 ქულა დააგროვეს (6 მოგება, 3 ფრე) და პირველი ადგილიც დაიკავეს.

7 აგვისტოს, თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე, გაიმართა ფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთის პირდაპირ ხაშურის ნაკრები და ქუთაისის „ტორპედო“ დადგნენ. გამარჯვებული საქართველოს ჩემპიონი ხდებოდა. სამწუხაროდ, ეს შეხვედრა ჩვენმა ფეხბურთელებმა წააგეს — 2:1, თუმცა უპირატესობას ისინი ფლობდნენ, მაგრამ არც ვიცეჩემპიონობა იყო ურიგო შედეგი.

აღსანიშნავია, რომ იმავე წელს ხაშურის ნაკრები თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა.

აი, ის ფეხბურთელები, ვინც იმ წელს ამ წარმატებას მიაღწია: ვახტანგ ჭუმბურიძე, შოთა აბასაშვილი, არჩილ მაჭარაშვილი, ოთარ მაღრაძე, გურამ თოდრია, თენგიზ გორშკოვი, შოთა მამიაშვილი, ალუა გოგალაძე. რუბენ გასპაროვი, ვასილ დერევიაჩენკო (სათადარიგო მეკარე), ტარიელ დეკანოიძე, ვასილ ნემსაძე, გივი ქურდაძე, ჯუდო ორჯონიკიძე, ილო ხაჩიძე, ვანო გოგალაძე, ვახტანგ ცუცქირიძე, ნოდარ ნადირაშვილი. გუნდს წვრთნიდნენ გრიშა ჯომართიძე და ვახტანგ ჭუმბურიძე.

გოგი გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭო პროექტი ,,სუფთა ნაკვალევის” ფარგლებში საინტერესო სიახლეს გთავაზობთ!

ფოტოების კონკურსს თემაზე- ვანდალიზმი!

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

თითოეულ ახალგაზრდას, რომელიც არის 14-დან 29 წლამდე, ცხოვრობს ხაშურის მუნიციპალიტეტში და დაინტერესებულია ფოტოგრაფიით.

რა არის საჭირო მონაწილეობისთვის?

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ახალგაზრდამ უნდა გადაუღოს ორიგინალური ფოტო ვანდალიზმით დაზიანებულ ადგილს, დაამონტაჟოს ის და დაწეროს რამდენიმე სიტყვიანი აღწერა, სადაც ისაუბრებს თავის შემოქმედებაზე, ვანდალიზმის პრობლემაზე, მის გამომწვევ ფაქტორებსა და შედეგებზე.

პრიზები:

20 საუკეთესო ფოტოსურათი გამოიფინება ხაშურის მერიასა და ახალგაზრდულ სივრცეში.

3 საუკეთესო ფოტოსურათის ავტორი კი საზეიმოდ დაჯილდოვდება შემაჯამებელ ღონისძიებაზე.

პროექტი ხორციელდება ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების ასოციაციის მიერ, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.

მონაწილეობის მისაღებად გადადით ლინკზე

https://forms.gle/2X3Qq7HmR2PYCV3v7

ფოტოების მიღების ბოლო ვადა: 25 იანვარი

კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით მეილზე: Khashuriyouthcouncil@gmail.com

გისურვებთ წარმატებებს!

ახალგაზრდული საბჭო

- ძიუდო -

პარიზის გრანდ - სლემზე ორი ხაშურელი იასპარეზებს

1 2 თებერვალს საფრანგეთის დედაქალაქში, ძიუდოში, დიდი ტურნირი იმართება - პარიზის გრანდ - სლემი, სადაც ხაშურის სასპორტო სკოლის ორი აღზრდილი იასპარეზებს - ლუკა მაისურაძე და ზაზო დვალაშვილი. ასე, რომ თებერვლის პირველი დღეები ჭიდაობის მოყვარულთათვის მართლაც საინტერესო და დაძაბული იქნება. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, უდიდეს ინტერესს 81 და 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობა იწვევს, სადაც ჩვენი ბიჭები გამოვლენ.

წარმატებები მათ და გვჯერა, ისინი კიდევ ერთხელ ასახელებენ ჩვენს ქალაქს და საქართველოს.

თინა ბოჟაძის ხსოვნას



არიან ადამიანები, რომლებიც, თავისი ცხოვრების წესით, მაგალითები ხდებიან ყველასათვის და ისეთ კვალს ტოვებენ, რომელიც მთელი თაობებისათვის ერთგვარი გზამკვლევი ხდება. სწორედ ასეთი პიროვნება იყო თინა ბოჟაძე, ქალბატონი, რომელიც მთელი ცხოვრება პეშვი-პეშვ აგროვებდა სიკეთეს და უშურველად გასცემდა. თითქმის ნახევარი საუკუნე იდგა ბავშვთა სიცოცხლის სადარაჯოზე და ათასობით პატარა გადაურჩენია ამ საოცარ პედიატრს. იმედი, უდიდესი იმედი იყო ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა მშობლისათვის, რადგან იცოდნენ, რომ თინიკო ექიმი იდგა მათი შვილების გვერდით. ეს კი გარანტია იყო, რომ მათ ჯანმრელობას საფრთხე არ შეექმნებოდა. როგორც წესი, ბავშვები ექიმის დანახვაზე ტირილს იწყებენ, მასთან კი ესეც იშვიათი იყო - იმდენ სითბოს და სიყვარულს გადასცემდა პატარებს. რა თქმა უნდა, ასეთი ექიმის სახელი, მხოლოდ ვიწრო კულუარებში არ რჩება. ამიტომაც იყო, რომ პაციენტები მას მეზობელი რაიონებიდანაც აკითხავდნენ. ყველას ეალერსებოდა, ყველას ეფერებოდა. ეს არ იყო როგორც ექიმის მოვალეობა, ეს მისი ცხოვრების წესი იყო. ასეთი იყო მუდამ და ასეთი დარჩება ყველას გულში. სწორედ ასეთებზე ამბობენ სახალხო ექიმიაო. უფალი თითოეულ ინდივიდში დებს განსაკურებულ კოდს, რომელიც ერთგვარი დავალებაა მიწიერთათვის. არც თინიკო ექიმი ყოფილა გამონაკლისი და უფლის ეს „დავალება“ ისე შეასრულა, რომ მაგალითი გახდა ყველასათვის.

ბრწყინვალე ექიმმა, დედამ, მეუღლემ, ბებომ დატოვა ეს წუთისოფელი. წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს, ძალიან დიდხანს არ წაიშლება და თაობები გაიხსენებენ.

„ხაშურის მოამბის“ რედაქცია, თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თინა ბოჟაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით
გაზეთი იბეჭდება თბილისში.